2-14501/23
19-09-2023

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/351; 06.09.2023)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 18 სექტემბრის კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: ანრი ოხანაშვილის, დავით მათიკაშვილის, გივი მიქანაძის, თენგიზ შარმანაშვილის და რატი იონათამიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/351; 06.09.2023).

I. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ძირითადი არსი

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით იცვლება ცესკოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის წესი; კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, საქართველოს პარლამენტი ცესკოს 7 წევრს აირჩევს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, ხოლო თუ კენჭისყრის შედეგად ცესკოს ყველა ასარჩევი წევრი არ აირჩა, არაუადრეს მომდევნო კვირის დასაწყისისა თითოეულ დარჩენილ კანდიდატს ხელახლა ეყრება კენჭი. ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ. თუ ხელახალი კენჭისყრის შედეგად ცესკოს ყველა ასარჩევი წევრი კვლავ არ აირჩა, არაუადრეს მომდევნო კვირის დასაწყისისა თითოეულ დარჩენილ კანდიდატს განმეორებით ხელახლა ეყრება კენჭი. განმეორებითი ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ. თუ განმეორებითი ხელახალი კენჭისყრის შედეგად ცესკოს ყველა ასარჩევი წევრი კვლავ არ აირჩა, ცესკოს წევრის/წევრების დანიშვნის მიზნით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტს კენჭისყრიდან 1 კვირაში უგზავნის ცესკოს წევრობის კანდიდატის/კანდიდატების შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა სიას და შესაბამის საკონკურსო დოკუმენტაციას. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, აღნიშნული სიისა და დოკუმენტაციის მიღებიდან 1 კვირაში იმავე სიაში შემავალ პირთაგან 5 წლის ვადით დანიშნოს ცესკოს იმდენი

ან იმაზე ნაკლები წევრი, ცესკოს რამდენი წევრიც დარჩა საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი. ცესკოს თავმჯდომარე თანამდებობაზე განწესდება ცესკოს წევრის არჩევისთვის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშვნისთვის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული წესით.

II. კომიტეტის შეფასება

2023 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შეიტანა ცვლილებები, რომლებიც ცესკოს წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესის ახლებურ საკანონმდებლო მოწესრიგებას ითვალისწინებს. ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა: ა) ცესკოს წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის მანამდე მოქმედი წესის ანალოგიური სამართლებრივი პრაქტიკა უცხოა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნებისათვის, მათ შორის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის. საქართველოს პარლამენტის მიერ ცესკოს წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების ის წესი, რომელიც აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე კანონით იყო დადგენილი, ეწინააღმდეგებოდა ხალხის მიერ ძალაუფლების განხორციელების პრინციპს, არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ დემოკრატიის პრინციპს და ხანგრძლივი დემოკრატიის მქონე ქვეყნების გამოცდილებას არ ეფუძნებოდა; ბ) ცესკოს წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის მანამდე მოქმედი პროცედურები უარყოფით გავლენას ახდენდა ცესკოს მიერ თავისი საქმიანობისა და უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელებაზე. ეს პროცედურები, ცესკოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფის ნაცვლად, როგორც წესი, ქმნიდა ჩიხურ ვითარებას და საფრთხეს უქმნიდა ცესკოს საქმიანობას.

ამდენად, მნიშვნელოვანი იყო, რომ სათანადოდ შეცვლილიყო ცესკოს წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესის საკანონმდებლო მოწესრიგება, რაც განხორციელდა კიდევაც. თუმცა 2023 წლის 22 ივნისს გამოქვეყნდა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკავშირის კომისრის შეფასება საქართველოსთვის ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით განსაზღვრული 12 პრიორიტეტული ამოცანის შესრულების მიმდინარეობის შესახებ; ამ შეფასებაში გამოთქმულია წინადადება ცესკოს წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის ზემოხსენებულ ახალ წესთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით ხდება აღნიშნული წინადადების მხედველობაში მიღება. ამასთანავე, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ემსახურება იმის უზრუნველყოფას, რომ 2024 წლის (საქართველოს პარლამენტის არჩევნების წლის) დაწყებამდე დასრულდეს ცესკოს პროფესიული წევრებით დაკომპლექტება.

ამრიგად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის წევრების: ანრი ოხანაშვილის, დავით მათიკაშვილის, გივი მიქანაძის, თენგიზ შარმანაშვილის და რატი იონათამიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/351; 06.09.2023) კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად ცნო საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი